



ინფორმაცია საჩხერეს მუნიციპალიტეტის

სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ

1. გამოყოფილი თანხის რაოდენობა:

100 000 ლარი;

მთლიანი ბიუჯეტის რამდენ პროცენტს შეადგენს: 1,25%

2. საბჭოები, სამოქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფები

➤ დასახელება:

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების

შემსწავლელი ჯგუფი;

სამოქალაქო საბჭო.

➤ შემადგენლობა:

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი

ჯგუფი შედგება საჩხერის გამგეობის საფინანსო

საბიუჯეტო; ეკონომიკის; ინფრასტრუქტურის;

არქიტექტურის; იურიდიული და პიარის

სამსახურების თანამშრომლებისაგან და ასევე



Solidarity Fund PL

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში

პროგრამა "დემოკრატიის ხელშეწყობა"



პოლონეთის დახმარება



საკრებულოს წევრის კორბოულის ტერიტორიულ ერთეულში;

✚ **სამოქალაქო საბჭო** – შედგება ხუთი წევრისაგან, მათ შორის: სოფელ კორბოულის ორი ; სოფელ შომახეთის ერთი და სოფელ ნიგვზარას ერთი მცხოვრებისაგან და ასევე სამოქალაქო საბჭოში გაწევრიანებულია მრჩეველთა საბჭოს კორბოულის თემის წარმომადგენელი.

➤ **მისი როლი და ამოცანები:**

✚ **სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი:**

ა) განიხილავს მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტებს;

ბ) ახდენს წარმოდგენილი პროექტების შესწავლას სამართლებრივი, ტექნიკური, ფინანსური და სხვა კუთხით;



გ) უფლება აქვს კოორდინატორებსა და სამოქალაქო საბჭოს წევრებს მოსთხოვოს ინფორმაცია მოსახლეობის ინფორმირების შესახებ გაწეულ სამუშაოებზე პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში.

სამოქალაქო საბჭო:

ა) განიხილავს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს მიერ მოწოდებულ დადებითი დასკვნის მქონე პროექტებს.

ბ) ახდენს წარმოდგენილი პროექტების შესწავლას და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას თემისათვის იმ ეტაპზე პრიორიტეტული პროექტის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ.

3. რეგიონის/ქალაქის ზონებად დაყოფა : საჩხერის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტი





ხორციელდება სოფელ კორბოულის ტერიტორიულ ორგანოში, რომელიც დაყოფილია სამ ზონად:

I ზონა - სოფელი კორბოული;

II ზონა - სოფელი ნიგოზეთი;

III ზონა - სოფელი შომახეთი.

საკვილოტეთ ადებულის იყო კორბოულის ტერიტორიული ორგანო როგორც ყველაზე დიდი და ხალხმრავალი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტში.

4. გამოყოფილი თანხების განაწილება:

I ზონა 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

II ზონა 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

III ზონა 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

5. ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა?

მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული ზონის მაცხოვრებლებმა 16 წლიდან.

6. რა პროექტები შეიძლება წარადგინონ?





პროექტი უნდა იყოს ინფრასტრუქტურული და სრულდებოდეს ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

7. ეტაპები და გრაფიკი (სახელი, ხანგრძლივობა, ძირითადი ქმედებები და რეგულაციები):

- ✚ პროექტების მიღება (ორი თვე);
- ✚ პროექტების განხილვა და დასკვნის დადება სამუშაო ჯგუფის მიერ (ერთი თვე).
- ✚ გამარჯვებულ პროექტების გამოვლენა (ერთი თვე);
- ✚ გამარჯვებულ პროექტების გამოვლენის შემდგომ, მათი საკრებულოში წარდგენა და ბიუჯეტში ასახვა (15–20 დღე)
- ✚ გამარჯვებულ პროექტებზე ტენდერი გამოცხადდება მომდევნო საბიუჯეტო წლის დასაწყისში;
- ✚ პროექტების განხორციელება.





8. დაგეგმილი საინფორმაციო ღონისძიებები და

ტრენინგები:

ივლისის თვეში დაგეგმილია საინფორმაციო აქციის მოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას მოხალისეები დაურიგებენ საინფორმაციო ბუკლეტებს და სხვადასხვა სარეკლამო მასალას.

9. მუნიციპალიტეტის გარე პარტნიორები:

- ფონდი „სხვა სივრცე“ (პოლონეთი)
- ააიპ „ერთიანი კავკასია“ (საქართველო)
- ა.ა.ი.პ. „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია“.

10. ვინ მონაწილეობს (ჩართულია)სამოქალაქო

ბიუჯეტის პროცესში მუნიციპალიტეტის მხრიდან?

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მრჩეველთა საბჭო და მოსახლეობა.

